შპს „ნიუ მაქს"
საქართველო, თბილისი, მგალობლიშვილის ქუჩა 3; საფოსტო კოდი: 0160;
ტელ: 2 945808; მობ: 557 303030;
LTD „New Max"
3 Mgaloblishvili st., Tbilisi, Georgia, postal code: 0160;
tel: 2 945808; cell phone: 557 303030;
info@newmax.ge
www. newmax.ge

კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო შეფასება

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი, N 8 (ს/კ:01.19.16.001.300)

21.03.2025

შპს „დუგლაძეების ღვინის კომპანია"-ს (ს.ნ:206159100) დაკვეთის საფუძველზე დაგვევალა ჩაგვეტარებინა ექსპერტიზა მისამართზე: ქალაქი თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი, N8 (ს/კ:01.19.16.001.300) ერთსართულიანი სასაწყობე შენობის კონსტრუქციული პროექტისთვის (რომელიც მოიცავს არქიტექტურულ ნახაზებზე დამუშავებულ კოსტრუქციულ მუშა ნახაზებს)

პროექტის მიხედვით დაგეგმარებულია ერთსართულიანი სასაწყობე შენობის მშენებლობა. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას დაგეგმარებული კონსტრუქციული ელემენტების განლაგებისა და საანგარიშო სქემის მართებულობა პროექტში მოცემული კონსტრუქციული ნახაზების მიხედვით, შესაბამისად გეოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და მოცემული ლაბორატორიული კვლევის შედეგების სისწორე.

პირველ რიგში შესწავლილი იქნა ინჟინერ–გეოლოგის მიერ ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოები, რომელიც მოცემულ პროექტთან მიმართებაში მისაღებია და საანგარიშოდ დამაკმაყოფილებელია. წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევის შედეგები შეესაბამება ნორმებს და სამუშაოები შესრულებულია ჯეროვნად. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საძირკვლების ფუძედ მიღებულია თიხები, ქვიშნარის ლინზებით და კენჭების ჩანართებით, პირობითი საანგარიშო წინაღობით კუმშვაზე ბუნებრივი ტენიანობის მდგომარეობაში: R_0=2.80 კგძ/სმ^2; ხოლო დეფორმაციის მოდული შეადგენს: E=180.0 კგძ/სმ^2;

აღნიშნულ პროექტზე ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა კვლევა, სადაც შესწავლილ იქნა ყველა ის კონსტრუქციული მახასიათებლებები და საანგარიშო სქემა, რაც მოიცავს შენობის მნიშვნელოვან მზიდუნარიან დეტალებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობების სქემა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. საძირკველი. შენობის საძირკველი მოცემულია ლენტური რკინაბეტონის სახით, რომლის ზომებია მართკუთხა განივი: 180X50(h)სმ; 140X50(h)სმ; 120X50(h)სმ; საძირკვლებს ქვეშ ეწყობა 10 სმ სისქის ბეტონის (B7.5) მოსამზადებელი ფენა და შრეებრივად (25-25სმ) დატკეპნილი 1,30 მეტრი სისქის ხრეშოვანი ბალასტის ბალიში; ცოკოლის კედლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით: 30სმ. ლითონის ძირითადი სვეტების მიწისქვეშა ნაწილი დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 60X75X160(h)სმ; დამხმარე სვეტების მიწისქვეშა ნაწილი დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 40X40X160X(h)სმ; 40X50X160X(h)სმ; 50X52,5X160(h)სმ; 40X40X20X(h)სმ; მიმღები ბაქნის საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ლენტური სახით, მართკუთხა განივი კვეთებით: 140X50(h)სმ; I სართულის იატაკის ფილა დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისგან, სისქით: 16სმ, დატკეპნილი ღორღის ბალიშზე; მიმღები ბაქნის კედლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისგან, სისქით: 30სმ, სიმაღლით 160სმ; საავტომობილო

პანდუსის საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ლენტური სახით, მართკუთხა განივი კვეთებით: 110X40(h)სმ; საავტომობილო პანდუსის კედლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისგან, სისქით: 30სმ; საავტომობილო პანდუსის ფილა დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისგან, სისქით: 15სმ, დატკეპნილი ღორღის ბალიშზე; წარმოდგენილი საძირკველი გეგმარების მიხედვით შეადგენს ერთ დონეზე და კვეთზე გათვლილ კონსტრუქციულ სქემას, რაც განპირობებულია საპროექტო გეომეტრიული ფორმებისა და პარამეტრების მიხედვით. შესწავლის საფუძველზე საძირკლების გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია. შესაბამისად საძირკვლის კონსტრუქციული გეგმარება და საანგარიშო სქემა თავისი მუშა არმირებითა და ბეტონით წარმოდგენილ რელიეფზე ნაწარმოებია მართებულად.

2. კარკასი – ანაკრები ლითონის კარკასის ჩარჩოების სვეტები და კოჭები დაპროექტებულია ცვალებადი განივი კვეთის ორტესებრი პროფილის ფოლადის კოჭებისგან; შენობის სახურავი ორქანობიანია, სახურავის გრძივები დაპროექტებულია სპეციალური „200Z15“ პროფილის ლითონის კოჭებზე; კედლების გრძივები დაპროექტებულია სპეციალური „200Z20“ „200Z18“ „200Z15“ პროფილის ლითონის კოჭებზე; ვერტიკალური კავშირები ლითონის სვეტებს შორის და ჰორიზონტალური კავშირები გადახურვის ჩარჩოს ლითონის კოჭებს შორის დაპროექტებულია მართკუთხა პროფილის ფოლადის კოჭებზე: 80X80X4,0მმ. შესწავლის საფუძველზე ლითონის ჩარჩოს კარკასული გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია. შესაბამისად კონსტრუქციული გეგმარება და საანგარიშო სქემა თავისი მუშა ლითონის ფურცლის ელემენტებით ნაწარმოებია მართებულად.

3. გადახურვა – შენობის გადახურვა ლითონის ჩარჩოზე განივად დამონტაჟებული ლითონის Z ტიპის პროფილი, Z ტიპის პროფილზე მონტაჟდება გადახურვის ე.წ. „სენდვიჩ პანელი“. გადახურვის კონსტრუქციული გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ კონსტრუქციული პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია.

4. მოჩარჩოება – შენობის მოჩარჩოება ლითონის ჩარჩოზე განივად დამონტაჟებული ლითონის Z ტიპის პროფილი, Z ტიპის პროფილზე მონტაჟდება კედლის ე.წ. „სენდვიჩ პანელი“. გვერდების მოჩარჩოების კონსტრუქციული გეგმარება განხორციელებულია სწორი გაანგარიშების მეთოდით და მოცულობაში წარმოდგენილ კონსტრუქციული პროექტთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების საფუძველზე სამშენებლოდ გამოყოფილი მოედანი 8 ბალიან ზონაშია. პასუხისმგებლობის მიხედვით შენობა მიეკუთვნება II კლასს.

შენობისა და მათი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება, მუდმივი საკუთარი წონა, დროებით (300კგ/მ2) (200კგ/მ2), თოვლის (50კგ/მ2) ქარის (120კგ/მ2) და ჰორიზონტალურ 0.17 გ აჩქარების (1.67მ/წმ2) შესაბამის სეისმურ დატვირთვაზე.

სეისმო მედეგობის კუთხით, შესაბამისად კონსტრუქციული დაგეგმარება წარმოებულია სწორი პრინციპით და დაცულია სეისმომედეგობის პირობები.

მათემატიკური მოდელირება (გაანგარიშება) განხორციელებულია LIRA SAPR 2017 პროგრამული კომპლექსის მეშვეობით, სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე. შენობის საანგარიშო მოდელი შედგენილია არქიტექტურული ნახაზების მიხედვით.

ჩატარებული ექსპერტიზის საფუძველზე საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია გეოლოგიური მონაცემების და კონსტრუქციული სწორი საანგარიშო სქემის მიხედვით, რაც მოცემულია კონსტრუქციულ მუშა ნახაზებში და გათვლებში, შესაბამისად წარმოდგენილი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შედგენილია და დამუშავებულია სამშენებლო ნორმატივებისა და წესების დაცვით.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი საპროექტო დოკუმენტაცია და მასში მოცემული ერთსართულიანი სასაწყობე შენობის კონსტრუქციული ნახაზები შესრულებულია სამშენებლო ნორმატივების, გეოლოგიური მონაცემების და წესების დაცვით, რომელიც სავსებით დამაკმაყოფილებელია აქედან გამომდინარე მოცემული დოკუმენტაცია სრულიად აკმაყოფილებს დღეისთვის მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

ინჟინერ-კონსტრუქტორი/ექსპერტი: კობა ნადირაძე



რ ე ზ ი უ მ ე

სახელი, გვარი: დაბადების თარიღი: მისამართი: ტელეფონი: ელ–ფოსტა:	კობა ნადირაძე 1989 წლის, 7 თებერვალი საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა ორღული 598 375896 nadiradzekoba10@gmail.com	
განათლება	2006-2010წ	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სამშენებლო ფაკულტეტი სპეციალობა: სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა
	2010-2012წ	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სამშენებლო ფაკულტეტი სპეციალობა: სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა კვალიფიკაცია: ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი
სამუშაო გამოცდილება	2009-2020წ	შ.პ.ს. "საპროექტო" კონსტრუქტორი
	2015-2020წ	შ.პ.ს. "საპროექტო 2015" კონსტრუქტორი
	2020-2023წ	შ.პ.ს. "ნიუ მაქს" ინჟინერ- კონსტრუქტორი
	2023-2025წ	შ.პ.ს. "ნიუ მაქს" ინჟინერ- კონსტრუქტორი/ ექსპერტი
კომპიუტერული პროგრამები	Auto cad; ArchiCAD; Microsoft Office; საინჟინრო- გამოთვლითი პროგრამა LIRA-SAPR	

2012 წლიდან - დღემდე, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, შესწავლილი მაქვს 100-ზე მეტი ავარიული ან/და სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობა, რაზედაც მომზადებული იქნა შესაბამისი საექსპერტო დასკვნები და რეკომენდაციები. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შესრულებული მაქვს 300-ზე მეტი I-II-III-IV და V კლასის შენობის კონსტრუქციული პროექტი.

შესაბამისი კვალიფიკაციის და სტაჟის მიღების შემდეგ მომზადებული მაქ კონსტრუქციული და საინჟინრო პროექტების საექსპერტო დასკვნები, სადემონტაჟო-სამშენებლო ობიექტების ექსპერტიზები, შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობების ექსპერტიზა, სარეკონსტრუქციო ნაგებობების ექსპერტიზა, შენობა-ნაგებობებზე ზემოქმედებისა და მე-4 კლასის შენობებისთვის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა კონსტრუქციული ელემენტების საექსპერტო შეფასების შესახებ დასკვნები.







GEORGIA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

MASTER'S

DIPLOMA

MD № 000368

By the decision N 12 June 27, / 2012 /

of the faculty of

Civil Engineering

Mr. Koba Nadiradze

was awarded the Degree of Master of

Engineering in

Construction

Registration № 00337

Tbilisi 15 11 2012

day month year

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგისტრის

დიპლომი

MD № 000368

საბჭოს

ფაკულტეტის 2012 წლის 27. 6 № 12

გადაწყვეტილებით კობა ნადირაძეს

მიენიჭა ინჟინერიის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

მშენებლობაში

დეკანი / ზურაბ გედენიძე /

Dean / Zurab Gedenidze /

რექტორი / ავთილ ფრანგიშვილი /

Rector / Avtil Prangishvili /

Seal

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24134155, 22/10/2024 19:25:18

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ნიუ მაქს
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404957579
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	11/09/2012
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზ., N 27

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი

  გიორგი კირკიტაძე, 01013012659 ,ერთპიროვნული

კაპიტალი

ნებადართული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
გამოშვებული წილი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული წილი	100 ერთეული

პარტნიორები

კლასის ტიპი: /კლასის გარეშე/ , რაოდენობა:100, ნომინალური ღირებულება:არ არის განსაზღვრული

მესაკუთრე	რაოდენობა	წილი	წილის მმართველი
გიორგი კირკიტაძე, 01013012659	100	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405 405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405 405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405 405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge